

**ეროვნული მოძრაობის ვეტერანების, სამოქალაქო საზოგადოების,  
პოლიტიკური პარტიების განცხადება**

2019 წლის 22 დეკემბერს სრულდება 28 წელიწადი 1991-1992 წლების სამხედრო გადატრიალებიდან. ვინაიდან ჯერ კიდევ არა აქვს მიცემული სათანადო შეფასება ზ/ა მოვლენას ქართული სახელმწიფოს მიერ, საჭიროდ მიგვაჩნია გავიმეოროთ, რომ:

1. 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს უზენაესი საბჭო, თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების შედეგად, რომლის შედეგებიც აღიარებულ იქნა მასში მონაწილე ყველა სუბიექტის მიერ. 1991 წლის 26 მაისს არჩეულ იქნა საქართველოს პირველი პრეზიდენტი.
2. 1992 წლის 6 იანვარს კანონიერი ხელისუფლების იურისდიქცია ფაქტობრივად შეჩერებული იქნა შეიარაღებული, სამხედრო გადატრიალების შედეგად, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა კრიმინალური დაჯგუფებები და რუსეთის საოკუპაციო ძალები;
3. სამხედრო გადატრიალებისთანავე დაიწყო და წლების მანძილზე გაგრძელდა კანონიერი მთავრობის მომხრეების წინააღმდეგ მხეცური რეპრესიები, მ.შ. ათეულობით მშვიდობიანი მომიტინგის დახვრეტა, ასობით ადამიანის უკანონო დაპატიმრება და წამება, ათასობით ადამიანის და მთელი რეგიონების მასობრივი ძარცვა;
4. სამხედრო გადატრიალების და კონსტიტუციის შეჩერების პირდაპირი შედეგი გახდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის გამოსვლა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფაქტობრივი კონტროლიდან, ეკონომიკის ტოტალური განადგურება, მოსახლეობის დრამატული შემცირება.
5. ვინაიდან საქართველოს არცერთ მომდევნო დე-ფაქტო ხელისუფლებას არ მიუცია სათანადო სამართლებრივი შეფასება ზ/ა მოვლენებისთვის და არ აღუდგენია 1991 წელს მოქმედი კონსტიტუციური წესრიგი, მიგვაჩნია, რომ

1995 წელს სამხედრო ხუნტის მიერ მიღებულია ე.წ. „კონსტიტუცია“ (და მისი 2017 წელს გადამუშავებული ვერსია), აგრეთვე ამ ე.წ. „კონსტიტუციის“ საფუძველზე ჩატარებული ყველა არჩევნები და ხელისუფლების დე-ფაქტო ორგანოები მოკლებულია ლეგიტიმურობას;

მიგვაჩნია, რომ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია:

1. 1991 წელს მოქმედი კონსტიტუციის აღდგენა კანონიერი ხელისუფლებისა და ქვეყნის ძირითადი პოლიტიკური ძალების მიერ შეთანხმებული (ახალი რედაქციით);
2. სამხედრო გადატრიალების და თანდევნი მიმდინარე დანაშაულების გამოძიება და დამნაშავეების დასჯა;
3. სამხედრო გადატრიალებისა და რეპრესიების შედეგად დაზარალებული ადამიანების სამართლებრივი და მორალური რეაბილიტაცია სპეციალური კანონის საფუძველზე;
4. სამხედრო ფიცის ერთგული გვარდიის ვეტერანებისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭება, ვეტერანის სტატუსის ჩამორთმევა იმ პირებისათვის, რომლებიც მონაწილეობდნენ სამხედრო გადატრიალებაში და პოლიტიკურ რეპრესიებში და მაროდორობაში.

ვარძელაშვილი ალექსანდრე, უზენაესი საბჭოს წევრი  
შავთვალაძე ნუგზარ, უზენაესი საბჭოს წევრი

მგალობლიშვილი ეთერ, წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრი  
ჭაბუკაშვილი დავით, ჰელსინკის კავშირის წევრი

აბდალაძე ქეთევან

ბედია ზაურ  
ბილონაშვილი ომარ  
ბრეგვაძე დარეჯან  
ლაკირბაია თეა  
ლომაძე გელა  
მიქაუტაძე ანა

კუკავა კახა, „თავისუფალი საქართველო“